შეთანხმება
საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ჯანდაცვის სფეროში დონაციის თაობაზე

საქართველოს მთავრობა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში „მხარეებად" წოდებულნი) შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

თურქული მხარე, დონაციის სახით, საქართველოს მთავრობას საჩუქრად გადასცემს შემდეგ აღჭურვილობას:

- 20 ცალი ვენტილატორი,
- 50.000 ცალი PCR დიაგნოსტიკის კომპლექტი,
- 2.000 ყუთი პლაქვენილის ტაბლეტი,
- 4.000 ყუთი ფავიპირავირი,
- 2.000 ყუთი ლინეზოლიდი 600 მგ.,
- 2.000 ყუთი მეროპენემი 1,0 გრ.,
- 2.000 ამპულა დექსამეტაზონი 4 მგ.,
- 50.000 ცალი ქირურგიული ნიღაბი,
- 5.000 ცალი, N95 ნიღაბი,
- 5.000 ცალი ხელთათმანი,
- 1.000 ცალი კომბინიზონი,
- 1.000 ცალი სახის ფარი,
- 1.000 ცალი სათვალე.

ეს დონაცია არის თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის საჩუქარი საქართველოს მთავრობისადმი, როგორც მეგობრობისა და კეთილი ნების ჟესტი.

მუხლი 2

მას შემდეგ, რაც დონაცია მიტანილი იქნება ადგილზე, ნაჩუქარი სამედიცინო აღჭურვილობა გახდება საქართველოს მთავრობის საკუთრება და გამოყენებული იქნება მისი ჯანდაცვის სამსახურების ფუნქციონირების გასაგრძელებლად. ხსენებული აღჭურვილობა მიტანილ იქნება მოგვიანებით შეთანხმებული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 3

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

შესრულებულია, ქ. ანკარაში, 2020 წლის 9 ოქტომბერს, ორ დედნად, თითოეული ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. განსხვავებული განმარტების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით:	თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით:
გიორგი ჯანჯღავა თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი	პროფ. დოქ. ეფინე ალფ მეშე თურქეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე